განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 11/11/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 06/12/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ანაკიძე, შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ფარგლებში. პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან და აკრედიტაცია მიიღო 2014 წლის 4 დეკემბერს აკრედიტაციის საბჭოს #235 გადაწყვეტილებით. პროგრამა შედგება სამი ძირითადი მოდულისაგან: საჯარო სამართლის (61 ECTS), ეკონომიკის, ფინანსებისა და მენეჯმენტის (73 ECTS) და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა (55 ECTS) მოდულები. 20 ECTS გათვალისწინებულია საბაზისო სასწავლო კურსებში, 25 ECTS - ინგლისური ენის კურსებში (აღსანიშნავია, რომ ინგლისურის სწავლება გაძლიერდა წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად), ხოლო თავისუფალი კომპონენტი შეადგენს 6 ECTS-ს. ჯამში, პროგრამა მოიცავს 240 ECTS.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11 ნოემბერს, 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი; უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაცია, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები; აკადემიური პერსონალი; მოწვეული პერსონალი; სტუდენტები; კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მე-2 სტანდარტის - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - 2.2. ქვესტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) და 2.4. ქვესტანდარტი (პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება) მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მე-5 სტანდარტის - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - 5.1 ქვესტანდარტი (შიდა ხარისხის შეფასება) და 5.3. ქვესტანდარტი (პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება) მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკს დაემატოს საჯარო მმართველობის საბაზისო შესავალი კურსი, რომლიც მოიცავს საჯარო მმართველობის სფეროსა და პროფესიის ფართო მიმოხილვას და არ იქნება ფოკუსირებული მხოლოდ საჯარო მმართველობის სამართლებრივ ასპექტებზე (მაგ: კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი).
  - მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი დარგობრივი საგნების შინაარსი მიწოდებული იყოს საჯარო მმართველობის ჭრილში და არ იყოს ზოგადი ხასიათის ან მხოლოდ ერთი მიმართულებით, მაგალითად სამართლის მიმართულებით ფოკუსირებული (მაგ: თვითმმართველობის კურსი, რომელიც ისწავლება მუნიციპალური სამართლის ჭრილში). შესაბამისად რეკომენდებულია, ძირითადი საგნების გადახედვა და მოდიფიცირება საჯარო ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.
  - პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა მოიცავდეს არა მხოლოდ პოლიტიკის, ეკონომიკის, შესაბამისი სამართლებრივი ასპექტებისა და მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლას, არამედ საჯარო მმართველობის სპეციფიკისთვის დამახასიათებელ საგნებს (როგორიცაა მაგ: საჯარო პოლიტიკის ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში). შესაბამისად, რეკომენდებულია შეძლებისდაგვარად მეტი საჯარო მმართველობის კურსის დამატება პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკში (მაგ: არაკომერციული ორგანიზაციების მართვა, საჯარო სერვისების მენეჯმენტი, სახელმწიფო პროგრამების მართვა, საჯარო ორგანიზაციების მართვა და განვითარება, ლიდერობა და ეთიკა საჯარო სექტორში, ელექტრონული მმართველობა, ა.შ.).
  - რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში გათვალისწინებული იყოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც დარეგულირდება შესაბამისი სილაბუსით (სადაც გაწერილი იქნება პრაქტიკის დადასტურების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექანიზმები) და საშუალებას მისცემს სტუდენტებს გამოიყენონ ბაზარზე არსებული შესაძლებლობები სწავლის მაღალ საფეხურებზე.
  - რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშავოს ხარისხის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტი - ინსტრუქცია, სადაც ფორმალიზებული იქნება შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, ინსტრუმენტები და ვადები.
  - მიზანშეწონილია, პროგრამის შეფასების და შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაზრდა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს მეტად ხაზგასმა საჯარო მმართველობის, როგორც სპეციალობის, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, სხვა ინტერდისციპლინარული მოდულების, როგორც საჯარო მმართველობის შემავსებელი დისციპლინების მითითება.
  - პროგრამის მიზნებში კვლევითი ნაშრომის ნაცვლად ზოგადად კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ყურადღების გამახვილება.
  - პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია რომ შეძლებისდაგვარად მეტ სილაბუსში აისახოს ის რეალობა და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას დღეს

საჯარო ადმინისტრირების პროცესი საქართველოში. ამგვარ თემებს განეკუთვნება მაგალითად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ღია მმართველობის პარტნიორობის წინაშე აღებული ვალდებულებები (OGP), მდგრადი განვითარების მიზნები და მათი ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში, საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) ფარგლებში განხორციელებული პროექტები, ა.შ.

- თითოეული რეპეტიტორიუმის ფარგლებში, სასურველია მკაფიოდ გაიმიჯნოს, კურსის რომელი ნაწილი ეთმობა არსებული ცოდნის გამეორებასა და გამყარებას და რომელია მიმართული ახალი ცოდნის შეძენაზე. მაგალითად კურსის პირველი ნაწილი შეიძლება დაეთმოს მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამეორებას და გამყარებას სხვადასხვა ქეისებისა თუ რეალური მაგალითების განხილვის საფუძველზე, ხოლო კურსის მეორე ნაწილი დაეთმოს ცოდნის გაღრმავებას ახალი ლიტერატურისა თუ პრაქტიკული კომპონენტის (მაგ: სასწავლო ვიზიტები, მოწვეული სპიკერების პრაქტიკა ა.შ. რეალური პრაქტიკული სამუშაოები) შემოტანის გზით.
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ასარჩევი საგნების ფარგლებში პროგრამას დაემატოს ისეთი პრაქტიკული კურსები როგორებიცაა მაგალითად საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის მეთოდების (მაგ: გამოყენებითი კვლევა), საგრანტო განაცხადის წერა ა.შ., რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას და გაზრდის სტუდენტების მოტივაციას ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში უნივერსიტეტსა თუ მის ფარგლებს გარეთ.
- სასურველია ცალკეული კურსების ფარგლებში (მაგ: კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი-საჯარო მმართველობა ან რეპეტიტორიუმი საჯარო სამართალში) განახლდეს საჯარო დაწესებულებებში სასწავლო ვიზიტების პრაქტიკული კომპონენტი. აღნიშნულს შესაძლოა ასევე დაემატოს პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების (networking) კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების შესახებ მეტ ინფორმირებულობას, საკონტაქტო პირების, კომუნიკაციების არხებისა და მეთოდების შესახებ თვალსაჩინო და პრაქტიკული ინფორმაციის მიღებას, რაც უფრო დინამიკურს, პრაქტიკულს და საინტერესოს გახდის სწავლის პროცესს.
- სწავლის პერიოდში პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობის (Community work/Volunteering) კომპონენტის შემოღება, რაც სტუდენტებს დაეხმარება ჩაერთონ საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში.
- სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნების და სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით სასურველია გაძლიერდეს მოწვეული სპიკერების პრაქტიკა, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სტუდენტებს შეხვდებიან პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში.
- კვლევითი პროექტების გაძლიერება აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან ერთად.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კონტროლის გაუმჯობესება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რეაკრედიტაციისათვის პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ისევე, როგორც სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანების ცვლილებებთან შესაბამისობაში.

პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით

რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელდა და პერმანენტულად ხორცილდება სასწავლო კურსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის განახლება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანი განსაზღვრულია უნივერსიტეტის საერთო მისიიდან გამომდინარე. პროგრამის მიზანია შესძინოს კურსდამთავრებულს ინტერდისციპლინალური განათლება საჯარო მმართველობის სფეროში ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტისა და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებების შერწყმით და საჯარო მმართველობის თეორიული ცოდნის, მეთოდოლოგიის, სახელმწიფო მართვისა და მოწყობის პრინციპების, თვითმმართველობის პრინციპების შესახებ ცოდნის გადაცემით. თუმცა, როგორც ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა დოკუმენტაციის გაცნობისა და ინტერვიუების განხორციელების დროს, პროგრამის პირველადი მიზანი სასურველია იყოს არა ინტერდისციპლინარული ცოდნის მიწოდება, არამედ საჯარო მმართველობის სფეროში ცოდნის მიწოდება, რაც შემდეგ შესაბამისად აისახება პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზეც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდეს ისე, რომ მეტად გაესვას ხაზი საჯარო მმართველობის სფეროს, და გამოიკვეთოს, რომ ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტისა და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებით მიწოდებული საგნები საჯარო მმართველობის შემავსებელ ცოდნას აწვდიან კურსდამთავრებულს. ○ პროგრამის ერთ-ერთ მიზნად ასევე განსაზღვრულია კურსდამთავრებულს გამოუმუშავდეს სასწავლო-კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების უნარი. უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ არ ითვალისწინებს სადიპლომო კვლევით ნაშრომს. სასურველია, პროგრამის აღნიშნული ქვე-მიზანი

განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდეს, და მასში არ იყოს მითითებული კონკრეტულად კვლევითი ნაშრომის შესრულება, არამედ ზოგადად, კვლევითი უნარების გამომუშავება, რასაც პროგრამით გათვალისწინებული საგნები სრულფასოვნად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აღწერა (დანართი 1)
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს მეტად ხაზგასმა საჯარო მმართველობის, როგორც სპეციალობის, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, სხვა ინტერდისციპლინარული მოდულების, როგორც საჯარო მმართველობის შემავსებელი დისციპლინების მითითება. ○ პროგრამის მიზნებში კვლევითი ნაშრომის ნაცვლად ზოგადად კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ყურადღების გამახვილება.წ
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია 6 შედეგი: A, B - ცოდნა და გაცნობიერება; C, D, E - უნარები, F - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
- სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის მიზნებში და მათი მიღწევა გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების მიხედვით. განსაზღვრულია ასევე შედეგების მიღწევის სამი დონე: I - გაცნობა, D - გაღრმავება და M - განმტკიცება. სასწავლო კურსები და მათი კურიკულუმში განთავსება ითვალისწინებს პრერეკვიზიტების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევის დონის ზრდასაც გაცნობიდან გაღრმავებამდე. რაც შეეხება განმტკიცებას, ამ მიზნით თითოეული მოდული შეჯამებულია რეპეტიტორიუმით, რომელიც წარმოადგენს მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამდიდრების, სფეროს მიხედვით ახალი ცოდნის გადაცემისა და მასალის განმტკიცებისათვის შემოტანილ კრედიტიან კურსს.
- პროგრამის შეფასების გეგმა შედგენილია აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მიხედვით და ამოქმედდება 2019-2020 სასწავლო წელს, 2023-24 სასწავლო წელს დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მიღწევათა შესაფასებლად. განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული - სტუდენტთა საერთო რაოდენობის 70%, რომელიც გადალახავს 51-ქულიან ზღვარს და მიიღებს გამსვლელ ქულას. გათვალისწინებულია ასევე, რომ სამიზნე ნიშნული პერიოდულად გადაიხედება და დაკორექტირდება, თუ სწავლების ხარისხის მატებასთან ერთად სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს 70%-ს. განსაზღვრულია ასევე შეფასების მეთოდები, პირდაპირი - სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასების საფუძველზე; არაპირდაპირი შეფასების მეთოდი -სტუდენტების და დამსაქმებლების გამოკითხვა; უწყვეტი განვითარებისათვის დაგეგმილია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება იმ სწავლის შედეგების

მიღწევის გასაუმჯობესებლად, რომელთა შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალია. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასება ძირითადად ხორციელდება რეპეტიტორიუმების შედეგების მიხედვით, რომლებიც, როგორც შედეგების რუკაზეა წარმოდგენილი (იხ. სასწავლო პროგრამის აღწერა), სწავლის შედეგების მიღწევის მაქსიმალურ (M - განმტკიცება) დონეს უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აღწერა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ○ შეფასების გეგმა ○ აკადემიური საბჭოს დადგენილება 09-20 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამტკიცების შესახებ ○ აკადემიური საბჭოს დადგენილება 06-28 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ს მიერ განსაზღვრულია საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომლის მიხედვით პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

- პროგრამით ასევე განსაზღვრულია სტუდენტების დიფერენცირება ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით. სტუდენტებმა, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარეს ინგლისური ენა, უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლას აგრძელებს მესამე დონიდან (B1.1), ხოლო სტუდენტებმა, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბეს სხვა უცხოური ენა, ინგლისური ენის სწავლას იწყებს პირველი (A1.1) დონიდან. ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით, 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
- დაშვების წინაპირობა და პროგრამის განხორციელების დეტალები (მაგ: დიფერენცირება ინგლისურის მიხედვით) აღწერილია საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში, რომელიც თავის მხრივ განთავსებულია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების ჩამონათვალში.
- აქვე აღსანიშნავია, რომ ვიზიტამდე 2 დღით ადრე და ვიზიტის პერიოდში მცდელობის მიუხედავად, აკრედიტაციის ექსპერტებმა ვერ მოახერხეს საჯარო მმართველობის ვებგვერდისა და პროგრამის შემოწმება, ვებგვერდზე წვდომის ფუნქციის პაროლით შეზღუდვის გამო. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა ვიზიტის დღის ბოლოს და დღევანდელი მონაცემებით პროგრამა ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- უსდ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობს, პროგრამის საინიციატივო ჯგუფის - დარგის/მიმართულების აკადემიური პერსონალის - მიერ, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ა.შ) ჩართულობით, ახალი პროგრამის ან პროგრამული ცვლილებების შემუშავებას, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან შეჯერებას და საბოლოო ვერსიის დამტკიცებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კვლევების ანგარიშებისა, რომლებიც წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობის დასადასტურებლად, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, ვერცერთმა მათგანმა ვერ გაიხსენა რაიმე აქტივობა, რომლიც დაადასტურებდა მათ ჩართულობას პროგრამის შემუშავების ან გაუმჯობესების პროცესში.
- საჯარო მმართველობის პროგრამა შედგება ხუთი (2 ზოგადი და 3 დარგობრივი) სასწავლო კომპონენტისგან/მოდულისგან:

ზოგადი მოდულებია:

1) საბაზისო სასწავლო კურსების მოდული
2) ინგლისური ენის მოდული

დარგობრივი მოდულები:

3) საჯარო სამართლის მოდული
4) ეკონომიკის, ფინანსებისა და მენეჯმენტის მოდული
5) სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მოდული

- კვალიფიკაციის მოსაპოვბლად საჭირო 240 ECTS კრედიტიდან, სტუდენტმა თითოეული მოდულის ძირითადი და ასარჩევი საგნების ბლოკიდან უნდა მოაგროვოს კრედიტების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, მათ შორის:

  საბაზისო სასწავლო კურსების მოდულიდან - 20 კრედიტი (10 ძირითადი და 10 ასარჩევი)
  ინგლისური ენის მოდულიდან - 25 კრედიტი (A1.1 - B1.2 ან B1.2 - B2.2 და პროფესიული ინგლისურის კურსი)
  საჯარო სამართლის მოდულიდან - 61 კრედიტი (49 ძირითადი და 12 ასარჩევი)
  ეკონომიკის, ფინანსების და მენეჯმენტის მოდულიდან 73 კრედიტი (61 ძირითადი და 12 ასარჩევი)
  სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მოდულიდან 55 კრედიტი (43 ძირითადი და 12 ასარჩევი)

- მოდულების მიხედვით მოცემული კრედიტების ამგვარი გადანაწილება 134 კრედიტის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა. დანარჩენი 6 კრედიტი გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეარჩიოს მისთვის საინტერესო საგანი სხვა პროგრამებიდან ან მობილობის შემთხვევაში ეღიაროს სასწავლო კურსები, რომლებიც გავლილი აქვს სხვა სასწავლო დაწესებულებებში.
- საერთო ჯამში, 5-ივე მოდულის ძირითადი საგნების ჯამი 188 კრედიტია, ხოლო დანარჩენი 52 კრედიტის აღების საშუალებას თითოეული მოდულის ასარჩევი საგნების ბლოკი და თავისუფალი კომპონენტი იძლევა, რომელთა კრედიტების ჯამი 103 კრედიტს შეადგენს. ასარჩევი საგნების რაოდენობა თანაბრად არის გადანაწილებული თითოეულ მოდულში (4-5 კურსი თითოეულში ინგლისური ენის მოდულის გარდა, რომელიც არ მოიცავს ასარჩევ საგნებს) რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს 4 ან 5 კურსიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო 2 საგანი მოდულის მიმართულებით.
- აქვე აღსანიშნავია, რომ თითოეულ დარგობრივ მოდულში გათვალისწინებულია რეპეტიტორიუმის კურსი, რომლის მთავარი ფუნქცია სტუდენტის მიერ მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის შეჯამება და გამყარებაა. რეპეტიტორიუმს მინიჭებული აქვს 6 ECTS კრედიტი, შეზღუდულია წინაპირობით და სტუდენტს მიეწოდება პროგრამის 7-ე სემეტრში.
- სფეროს მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე პროგრამა აღნიშნული სამი დარგობრივი მოდულის საშუალებით ფარავს სამართლებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მენეჯმენტის განზომილებებს, თუმცა

პროგრამის საერთო ორიენტაცია მიმართულია საჯარო ადმინისტრირების სამართლებრივ ასპექტებზე.

- პირველი და მეორე აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტები გაივლიან ზოგადი და დარგობრივი საგნების შესავალს კომპონენტებს, როგორიცაა მაგალითად დემოკრატია და მოქალაქეობა, პოლიტიკის მეცნიერებების შესავალი, მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ადმინისტრაციული სამართალი, კონსტიტუციური სამართალი, ა.შ. 4-ე სემესტრიდან პროგრამა უზრუნველყოფს შედარებით რთული და კომპლექსური საგნების მიწოდებას თითოეული დარგობრივი მოდულის მიმართულებით მაგ: მუნიციპალური სამართალი, პროექტის მენეჯმენტი, საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი, საერთაშორისო საჯარო სამართალი, სამოხელეო სამართალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გლობალური სამყარო და თანამედროვე გამოწვევები, ა.შ. 7-ე სემესტრში გათვალისწინებულია რეპეტიტორიუმი თითოეულ დარგობრივ მოდულში, ხოლო 8-ე სემესტრი სტუდენტს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესის შესაბამისად გაიღრმავოს ცოდნა ასარჩევი საგნების საშუალებით.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ფარავს სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და მენეჯერულ მიმართულებებს, პროგრამის საერთო ორიენტაცია მიმართულია საჯარო ადმინისტრირების სამართლებრივ ასპექტებზე. მაგალითად, საჯარო მმართველობის ისეთი ფუნდამენტური საკითხების ნაწილი, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობის ფორმები, ადმინისტრირების განვითარებისა და თანამედროვე ხედვების ფორმირების ეტაპები, ტერიტორიული მოწყობის, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის საკითხები, ა.შ., ნაწილობრივ განხილულია მხოლოდ საჯარო სამართლის დარგობრივ მოდულში (ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობის - მუნიციპალური სამართალი, ა.შ.), რაც თავის მხრივ განაპირობებს აღნიშული საკითხების შედარებით ვიწრო იურიდიული კუთხით შესწავლას და შესაბამისად პროგრამის სამართლებრივ ფოკუსს.
- ასევე ყურადსაღებია, რომ თითოეულ დარგობრივ მოდულში შემავალი საგნების უმეტესობა შინაარსობრივად წარმოადგენს მიმართულების ზოგად კურსებს და დაფარული საკითხები ნაკლებად არის განხილული საჯარო მმართველობის სპეციფიკურ ჭრილში. შესაბამისად, კურსების უმეტესობა, მათი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია ანალოგიური წარმატებით ისწავლებოდეს ნებისმიერ მომიჯნავე მიმართულების პროგრამაში.
- აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგადად პროგრამის სამართლებრივი ორიენტაცია, ისევე როგორც ორიენტაცია მმართველობით ან პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიმართულებაზე, მიღებული პრაქტიკაა და დამახასიათებელია როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ბაზარზე არსებული საჯარო ადმინისტრირების პროგრამებისთვის. თუმცა, როგორც წესი, საერთაშორისო აკრედიტაციის (NASPAA, NISPAcee) მქონე პროგრამებში ვხვდებით საჯარო ადმინისტრირების ფუნდამენტური კურსების ნაკრებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ

საკითხებს განიხილავს საჯარო ადმინისტრირების ფართო ჭრილში, ვიდრე ეს შესაძლებელია ერთი რომელიმე (მაგ: სამართლის) მიმართულებით. ○ წარმოდგენილ პროგრამაში ნაკლებად არის ასახული საჯარო ადმინისტრირების პროგრამებისთვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური და ფუნდამენტური საგნები, როგორებიცაა საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები, საჯარო სერვისების მენეჯმენტი, დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა, საზოგადოებრივი და არაკომერციული ორგანიზაციების მართვა, ელექტრონული მმართველობა, ა.შ. როგორც აღინიშნა, ჩამოთვლილი მიმართულებებით გარკვეული საკითხები იფარება დარგობრივ მოდულებში შემოთავაზებული საგნებით, თუმცა მოცემული კურსების ფოკუსი არის უფრო კონკრეტული დარგობრივი მიმართულებით ვიდრე საჯარო ადმინისტრირების ჭრილში წარმოდგენილი. მაგალითად, თვითმმართველობის საკითხების შესწავლა ხდება მუნიციპალური სამართლის ფარგლებში და ნაკლებად არის ფოკუსირებული საჯარო ადმინისტრირების ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორებიცაა თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის სპეციფიკა, სამუშაო არხების, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები, საუკეთესო პრაქტიკა და მიმდინარე რეფორმები საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) - ის და სხვა მექანიზმების ფარგლებში, ა.შ. ასევე, საჯარო მმართველობის სკოლის განვითარების, მოდელების (მაგ: ახალი საჯარო მენეჯმენტი, ნეო-ლიბერალური კრიტიკა, კარგი მმართველობის პრინციპები, ა.შ.) საკითხები ნაწილობრივ იფარება სხვადასხვა საგნებით, როგორებიცაა ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა და რეპეტიტორიუმი საჯარო სამართლის მოდულში, თუმცა ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული საკითხების შესწავლა ხდება შედარებით ვიწრო სამართლებრივ ჭრილში. ○ საერთო ჯამში მოდულებში შემავალი კომპონენტების სირთულე შეესაბამება საბაკალავრო სწავლის საფეხურს. პროგრამის შინაარსი, დატვირთვა და სტრუქტურა უმეტესწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია შედეგების რუკაზე, რომელიც თან ერთვის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია ○ დაინტერესებული მხარეების კვლევების ანგარიშები ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ პროგრამის შედეგების რუკა და წინაპირობების მატრიცა
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკს დაემატოს საჯარო მმართველობის საბაზისო შესავალი კურსი, რომლიც მოიცავს საჯარო მმართველობის სფეროსა და პროფესიის ფართო მიმოხილვას და არ იქნება ფოკუსირებული მხოლოდ საჯარო მმართველობის სამართლებრივ ასპექტებზე (მაგ: კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი)
- მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი დარგობრივი საგნების შინაარსი მიწოდებული იყოს საჯარო მმართველობის ჭრილში და არ იყოს ზოგადი ხასიათის ან მხოლოდ ერთი მიმართულებით, მაგალათად სამართლის მიმართულებით ფოკუსირებული (მაგ: თვითმმართველობის კურსი, რომელიც ისწავლება მუნიციპალური სამართლის ჭრილში). შესაბამისად რეკომენდებულია, ძირითადი საგნების გადახედვა და მოდიფიცირება საჯარო ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.

  პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა მოიცავდეს არა მხოლოდ პოლიტიკის, ეკონომიკის, შესაბამისი სამართლებრივი ასპექტებისა და მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლას, არამედ საჯარო მმართველობის სპეციფიკისთვის დამახასიათებელ საგნებს (როგორიცაა მაგ: საჯარო პოლიტიკის ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში). შესაბამისად, რეკომენდებულია შეძლებისდაგვარად მეტი საჯარო მმართველობის კურსის დამატება პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკში (მაგ: არაკომერციული ორგანიზაციების მართვა, საჯარო სერვისების მენეჯმენტი, სახელმწიფო პროგრამების მართვა, საჯარო ორგანიზაციების მართვა და განვითარება, ლიდერობა და ეთიკა საჯარო სექტორში, ელექტრონული მმართველობა, ა.შ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია რომ შეძლებისდაგვარად მეტ სილაბუსში აისახოს ის რეალობა და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას დღეს საჯარო ადმინისტრირების პროცესი საქართველოში. ამგვარ თემებს განეკუთვნება მაგალითად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ღია მმართველობის პარტნიორობის წინაშე აღებული ვალდებულებები (OGP), მდგრადი განვითარების მიზნები და მათი ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში, საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) ფარგლებში განხორციელებული პროექტები, ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის ძირითადი და ასარჩევი კურსების მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები და შინაარსი, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი ასახულია წარმოდგენილი კურსების სილაბუსებში.
- თითოეულ სილაბუსში, ყოველი სასწავლო კვირის ველში ასახულია დავალების/გამოკითხვის ფორმა. ასევე, დეტალურად არის გაწერილი შუალედური გამოკითხვისა თუ დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკა.
- ძირითადი სახელმძღვანელოები განახლებულია, თუმცა, სასურველია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამდიდრება ისეთი წყაროებით, რომელიც ეხმიანება საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობას, კარგი და ღია მმართველობის პრინციპების გლობალურ მექანიზმებს, რომლებიც დღეს მეტად აქტუალურია საქართველოში, საჯარო ადმინისტრირების ყოველდღიურ პრაქტიკაში.
- პროგრამით გათვალისწინებულია 6 ძირითადი შედეგი, რომლებსაც წარმოდგენილი კურსების სილაბუსები სრულად ასახავს და მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე.
- პროგრამის სამივე დარგობრივ მოდულში (1.საჯარო სამართლის; 2. ეკონომიკის, ფინანსების და მენეჯმენტის; 3. სოციალურ-პოლიტიკური) მე-7 სემესტრში გათვალისწინებულია 6 კრედიტიანი რეპეტიტორიუმის კურსი, რომლის მიზანიც მოცემული მოდულის მიმართულებით მიღებული ცოდნის გამეორება და გამყარებაა. პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხედრისას გამოიკვეთა, რომ რეპეტიტორიუმი, გარდა მიღებული ცოდნის გამყარებისა, ასევე უზრუნველყოფს მოდულის მიმართულებით ახალი ცოდნის გადაცემას სტუდენტებისთვის. თუმცა

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნათლად იყოს ასახული თითოეული რეპეტიტორიუმის სილაბუსში, რადგან მაგალითად საჯარო სამართლის მოდულში განსაზღვრული რეპეტიტორიუმის ფარგლებში გათვალისწინებული თემებისა და ძირითადი სახელმძღვანელოების უმეტესობა მეორდება და იკვეთება მოდულში შემავალი საგნების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალთან (მაგ: დემეტრაშვილი 2016, კუბლაშვილი 2019, გეგენავა 2019, ა.შ.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ პროგრამის შედეგების რუკა ○ ინტერვიუს შედეგები (პროგრამის თანახელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ თითოეული რეპეტიტორიუმის ფარგლებში, სასურველია მკაფიოდ გაიმიჯნოს, კურსის რომელი ნაწილი ეთმობა არსებული ცოდნის გამეორებასა და გამყარებას და რომელია მიმართული ახალი ცოდნის შეძენაზე. მაგალითად კურსის პირველი ნაწილი შეიძლება დაეთმოს მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამეორებას და გამყარებას სხვადასხვა ქეისებისა თუ რეალური მაგალითების განხილვის საფუძველზე, ხოლო კურსის მეორე ნაწილი დაეთმოს ცოდნის გაღრმავებას ახალი ლიტერატურისა თუ პრაქტიკული კომპონენტის (მაგ: სასწავლო ვიზიტები, მოწვეული სპიკერების პრაქტიკა ა.შ. რეალური პრაქტიკული სამუშაოები) შემოტანის გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია სასწავლო კურსების ფარგლებში. მაგალითად ძირითადი კურსების ფარგლებში ასახულია პრაქტიკული დავალებები თუ ჯგუფური სამუშაოები, ასევე საკვანძო კურსების უმრავლესობა ითვალისწინებს საკურსო ნაშრომზე/რეფერატზე მუშაობას, რაც გულისხმობს პრობლემურ საკითხზე ან კონკრეტულ პროექტზე მუშაობას, წარდგენას და დაცვას.
- აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმი ნაკლებად არის ორიენტირებული კვლევითი უნარების გამომუშავებაზე და არ მოიცავს კვლევის მეთოდების შესწავლას ან საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კურსი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, რომ სურვილის/ინტერესის შემთხვევაში შეარჩიონ მათთვის საინტერესო ორგანიზაცია საჯარო სამსახურში, საერთაშორისო ორგანიზაციაში თუ არასამთავრობო სექტორში და სწავლის პერიოდის ბოლო წლებში მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება რეალურ სამუშაო გარემოში.
- აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში მოქმედებს როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ცენტრალიზებულად ადმინისტრირებული პრაქტიკა საჯარო სამსახურში, ასევე ცალკეული ორგანიზაციული პრაქტიკის შესაძლებლობა როგორც საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორში. აგრეთვე მზარდია მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ანაზღაურებად და არაანაზღაურებად პრაქტიკაზე. შესაბამისად, დამამთავრებელი კურსის სტუდენტს, რომელიც შესაძლოა დაინტერესდეს პრაქტიკის შესაძლებლობით სრულ განაკვეთზე 1 სემესტრის განმავლობაში, მოუწევს შეათავსოს პრაქტიკა სრულ საუნივერსიტეტო დატვირთვასთან, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის პირველი სამუშაო გამოცდილების მიღებას სწავლის პერიოდშივე.

- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო პრაქტიკული კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ქონდათ ორი კვირის განმავლობაში მოენახულებინათ საჯარო ორგანიზაციები (მაგ: მუნიციპალური ორგანოები) გაცნობოდნენ მათ ყოველდღიურ სამუშაო დღის წესრიგს, დასწრებოდნენ საკრებულოს სხდომას ა.შ. თუმცა, აღნიშნული კომპონენტი არ არის გათვალისწინებული განახლებული პროგრამით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის შედეგების რუკა
- ინტერვიუს შედეგები (პროგრამის თანახელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში გათვალისწინებული იყოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც დარეგულირდება შესაბამისი სილაბუსით (სადაც გაწერილი იქნება პრაქტიკის დადასტურების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექანიზმები) და საშუალებას მისცემს სტუდენტებს გამოიყენონ ბაზარზე არსებული შესაძლებლობები სწავლის მაღალ საფეხურებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

